პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 196 (10590) | ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ლვოვ-ვოლინსკის ქვანახშირის აუზის შახტმშენებელთა თათბირი (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ფინეთში ჩავიდა (1-ლი გვერდი).

კ. ე. ვოროშილოვის ჰელსინკში ჩასვლის გამო (1-ლი გვერდი).

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სადილი გამართა კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის ძეგლი თერჯოლაში (1-ლი გვერდი).

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-2 და მე-3 გვერდი).

გ. ტატიშვილი. — რუმინელი ხალხი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე (მე-4 გვერდი).

ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხზე (მე-4 გვერდი).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მანიფესტი (მე-4 გვერდი).

საბჭოთა დახმარება ეგვიპტისადმი (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაუმჯობესოთ მშენებლობათა პარჯიული ორგანიზაციების მუშაობა

ბაკოგრინობის ისტორიას არ ახსოვს აღმშენებლობითი მუშაობის ისეთი ფართო გაქანება, როგორიც ჩვენში, საბჭოების ქვეყანაშია, სადაც უდიდესი მასშტაბით და სწრაფი ტემპით შენდება ქალაქები და დაბები, სოფლები და ახალი სამრეწველო ცენტრები. ამ დიდ აღმშენებლობითს საქმიანობაში გამოხატულებას პოულობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური და შეუნელებელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის.

მარტო წელს საქართველოს რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა დაახლოებით ერთ მილიარდ შვიდას მილიონ მანეთს აღწევს. აქედან საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება 230 მილიონი მანეთი. მშენებლობის სულ უფრო მეტად გაფართოებასთან ერთად მიმდინარეობს სამშენებლო ორგანიზაციების აღჭურვა სრულყოფილი სამშენებლო მექანიზმებით, ვითარდება და მტკიცდება სამშენებლო ინდუსტრია. ჩვენს რესპუბლიკაში გამოიზარდნენ მშენებელთა კვალიფიციური კადრები, საკმაო რაოდენობით გვყავს ინჟინრები, რომლებმაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინეს. უმჯობესდება სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია და ტექნოლოგია.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს პარტიის XX ყრილობის მიერ მშენებელთა წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. შარშანდელთან შედარებით არ იგრძნობა მშენებლობის საქმის ისე მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, როგორიც მოსალოდნელი იყო. დიდი დანაკლისით სრულდება მშენებლობის საგეგმო დავალებები. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა შესრულებულია 90,3 პროცენტით. განსაკუთრებით დიდია ჩამორჩენა საბინაო მშენებლობაში — ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 88,2 პროცენტით, საექსპლოატაციოდ გადაეცა იმაზე 7.500 კვადრატული მეტრით ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, რასაც 6 თვის გეგმა ითვალისწინებდა.

რამ გამოიწვია სამშენებლო სამუშაოთა ასეთი ჩამორჩენა? რა არის ამის მიზეზი? მიზეზია მატერიალური და შრომითი რესურსების დაქსაქსვა, მშენებლობის არა თავის დროზე და არასაკმაო რაოდენობით უზრუნველყოფა საშენი მასალებით, აგრეთვე მასალების უყაირათოდ ხარჯვა, სამშენებლო მოედნებზე სამუშაოთა ცუდი ორგანიზაცია და მექანიზმების სუსტად გამოყენება. სერიოზული ნაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობის დაგეგმვაში, რაც იწვევს სახსრების დაქსაქსვას, დიდი რაოდენობით დაუმთავრებელ, გარდამავალ მშენებლობათა არსებობას, სამშენებლო სამუშაოთა შეუწყნარებლად გაჭიანურებას. ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილის საექსპლოატაციოდ გადაცემა ხდება მშენებლობის მოუთავებლად, დიდი დაგვიანებით, არასრულდება შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და მშენებლობის თვითღირებულების შემცირების გეგმები, დაბალია ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მშენებლობათა პარტიულ ორგანიზაციებს.

ბევრ მშენებლობაზე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა თავმინებებულია. პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ აქცევენ მთავარ ყურადღებას საწარმოო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, სამშენებლო სამუშაოთა ტემპის ამაღლებას, ხარისხის გაუმჯობესებას და გაიაფებას. ამავე დროს ცნობილია, რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მშენებლობის პარტიულ ორგანიზაციას, თუ იგი ნაყოფიერად მუშაობს, ღრმად სწვდება მშენებლობის საკითხებს, უნარიანად ახორციელებს პარტიული კონტროლის უფლებას, სათავეში უდგას მასების საწარმოო აქტივობას, დროულად ავლინებს მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებს და იბრძვის მათი აღმოფხვრისათვის.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტისა და ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა წარმატება მნიშვნელოვანწილად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების უნარიანი მუშაობითაც აიხსნება. ეს პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშენებელთა საწარმოო აქტივობას, ფართო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან, პოლიტიკურ-აგიტაციას მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, რაც ხელს უწყობს მოწინავეთა გაბოცდილების გავრცელებას, სამშენებლო სამუშაოთა წარმატებით შესრულებას. სამშენებლო უბნებში შექმნილია პარტიული ჯგუფები, რომლებიც რეგულარულად განიხილავენ მშენებლობის სადღეისო საკითხებს. კომუნისტები უპარტიო აქტივთან ერთად მსჯელობენ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მოწინავე მეთოდების დანერგვის საკითხებზე, სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას.

სულ სხვა მდგომარეობაა საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პირველ საერთო სამშენებლო ტრესტში, რომელმაც საბინაო მშენებლობის ნახევარი წლის გეგმა მხოლოდ 59,5 პროცენტით შეასრულა. ამ ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, სათანადოდ ვერ იყენებს წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას, დაბალია კომუნისტების აქტივობა და ავანგარდული როლი, ჩაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, ნაკლები ყურადღება ექცევა სოციალისტურ შეჯიბრებას და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-გავრცელებას. უნდა ითქვას, რომ პარტიულ კრებებს აქ არც თუ იშვიათად იწვევენ, მსჯელობენ ცალკეულ საკითხებზე, გამოაქვთ დადგენილებები, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, რადგან არ ზრუნავენ პარტიული დადგენილების შესრულებისათვის და ცოცხალ საქმეს ფორმალიზმის ჭაობში ახრჩობენ. პატივისცემით არ სარგებლობს კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამითაც აიხსნება, რომ შეუმჩნეველი რჩება სერიოზული ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციის საქმეში, საწარმოო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, სამუშაოთა დაბალი ხარისხი. სამწუხაროდ, კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ამავე ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციაში და მშენებლობათა ბევრ სხვა პარტიულ ორგანიზაციაში.

რესპუბლიკის მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა გაძლიერონ ბრძოლა სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის, მშენებლობათა ვადების შემცირების, გაიაფებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. აუცილებელია მშენებლობაში ფართოდ გამოვიყენოთ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, დეტალები და საკედლე ბლოკები, მივაღწიოთ სამშენებლო პროცესების, პირველ რიგში მძიმე და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესოთ სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია, გულმოდგინედ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება. მთელი სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, ადამიანებზე, მათს ენერგიაზე, ინიციატივასა და უნარზე. ამიტომ მასებში მუშაობის გაძლიერება, მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლება მშენებლობათა პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ იმ მრავალშვილიანი დედებისათვის, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრობენ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. ალესკეროვას ზაქია ასად ყზის — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
2. გარაგაშვილას სულთან ასან ყზის — კოლმეურნეს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელი ქოსალარი.
3. კალაიჩევას ეკატერინე დმიტრის ასულს — დიასახლისს, წალკის რაიონის სოფელი წალკა.
4. ქველაძეს ხათუნა გიორგის ასულს—კოლმეურნეს, ლაგოდეხის რაიონის სოფელი აფენი.
5. მუკბანინს ლიზა მელუქის ასულს—კოლმეურნეს, ლენტეხის რაიონის სოფელი სასაში.
6. ორთოიძეს დომიკა ნესტორის ასულს — დიასახლისს, ზესტაფონის რაიონის სოფელი როდინაული.
7. ორჯოვას გულიაზ ჰასან ყზის — დიასახლისს, მარნეულის რაიონის სოფელი ულაშლო.
8. თამასიანს აშხენ აბრამის ასულს—დიასახლისს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი ეშტია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 16 აგვისტო.

ლვოვ-ვოლინსკის ქვანახშირის აუზის შახტმშენებელთა თათბირი

ჩერვონოგრადი (ლვოვის ოლქი), 21 აგვისტო. (საკუთარი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ა. ი. კირიჩენკო ვოლინიდან ჩამოვიდნენ ლვოვის ოლქის რაიონებში, სადაც ახლა შენდება ქვანახშირის ახალი აუზის შახტები, დამხმარე საწარმოები და მაღაროელთა დაბები.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. კირიჩენკო იყვნენ მშენებლობის პროცესში მყოფი № 1 შახტის „ველიკომოსკოვსკაიას“ მოედანზე. აქ ისინი შეხვდნენ გვირაბგამყვანებს, ფემონტაჟეებს, მშენებლებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ეცნობოდნენ ჭაურების ბურღვისა და მიწისზედა შენობათა აგების მდგომარეობას. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კომბინატ „უკრზაპადშახტოსტროის“ ხელმძღვანელების ყურადღება მიაქცია იმას, რომ საკმაოდ არ იყენებენ უახლეს შახტსაშენ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, აღნიშნა, რომ საჭიროა პროექტების შერჩევისას ყოველი ღონისძიებით გაითვალისწინონ ეკონომიური მიზანშეწონილობა.

№ 1 შახტის ტუბრიტორიიდან ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. კირიჩენკო გაემართნენ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების კომბინატის მშენებლობაზე. აქ შენდება ღია მოედანზე რკინაბეტონის გამოშვების ქარხანა. მშენებლებმა გადაწყვიტეს მოედანი გადახურონ მსუბუქი სახურავით და ააგონ კედლები. ეს შესაძლებელს გახდის მუშაობას მთელი წლის განმავლობაში და ერთიორად გაადიდებს ასაწყობი რკინაბეტონის ნაწარმის გამოშვებას. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დადებითი შეფასება მისცა ამ ინიციატივას.

ჩერვონოგრადში გაიმართა კომბინატ „უკრზაპადშახტოსტროის“ წარმოების მოწინავეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, დამპროექტებელი ორგანიზაციების, პარტიული და სამეურნეო აქტივის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. კირიჩენკომ, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ა. ნ. ზადემიდკომ, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა ამხ. ლ. გ. მელნიკოვმა, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პ. ა. როზენკომ, უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ა. ფ. ზასიადკომ, უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა ამხ. გ. ვ. კრასნიკოვსკიმ, პარტიის ლვოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. კ. ლაზურენკომ და ვოლინის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ს. გრუშეცკიმ.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მსვლელობის საკითხი, შეიტანეს მთელი რიგი ძვირფასი წინადადებანი მშენებლობის ტემპების გაძლიერებისათვის, შრომის ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის.

თათბირზე გამოვიდნენ მშენებლობის პროცესში მყოფ საწარმოთა დირექტორი ამხ. ნ. ზ. იგუმენცევი, ტრესტ „უკროსობუგოლმონტაჟის“ ლვოვის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი ამ. ვ. პ. კუტასევიჩი, № 1 შახტ „ჩერვონოგრადსკაიას“ გვირაბის გამყვანი ამხ. ვ. ს. ბლაშკოვსკი და სხვები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ჩერვონოგრადში სკოლის მოედანზე შეიკრიბნენ ქალაქის ათასობით მშრომელნი, ლვოვის ოლქის სოკალის, ველიკიე მოსტისა და ზაბუგსკის რაიონების კოლმეურნენი.

აქ გამოვიდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. იგი მხურვალედ მიესალმა შახტმშენებლებსა და საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელებს, უსურვა მათ ახალი წარმატებანი შრომაში.

მეშახტეთა იმ ბავშვების სახელით, რომლებმაც მომავალი სასწავლო წლისათვის ახალი საშუალო სკოლა მიიღეს, პიონერმა ლინა კრამინსკაიამ მადლობა გადაუხადა და ცოცხალი ყვავილების თაიგული გადასცა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს.

სოკალის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ფ. ი. სვისტუნმა უკრაინული ძველებური ჩეულებისამებრ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს პურ-მარილი მიართვა და კოლმეურნეთა სახელით პირობა მისცა, რომ მინდვრის მშრომელები ქვანახშირის ახალი აუზის მაღაროელებთან ხელიხელჩაკიდებულნი თავდადებით იბრძოლებენ მეექვსე ხუთწლეულის გრანდიოზული გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

ლვოვის ოლქში ყოფნის დროს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. ი. კირიჩენკომ ინახულეს სოკალის რაიონის სოფელ სკომოროხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა უ. დ. ბაშტიკმა ილაპარაკა მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებაზე, იმაზე, თუ როგორ იბრძვიან არტელის წევრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ი. კირიჩენკო იყვნენ ავრეთვე ნესტეროვის რაიონის სოფელ დობროსინის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ სოფელში ჯერ კიდევ 1949 წელს ამხ. ხრუშჩოვმა მონაწილეობა მიიღო გლეხთა საორგანიზაციო კრებაში, რომელიც მოეძღვნა კოლმეურეობის შექმნის. დობროსინის საოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ნ. ნ. ციოუკამ ინახულა კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობაზე. კოლმეურნეობის ფართო მწვანე ეზოში გაიმართა ამხ. ხრუშჩოვისა და კოლმეურნეების მეგობრული საუბარი.

3. ი. ლენინის ძეგლი თერჯოლაში

თერჯოლა. („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში რაიონის ცენტრში გაიხსნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადისა და გენიალური მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი. სკულპტურის ავტორია ვ. ი. ჩხეიძე.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად თერჯოლაში თავი მოიყარეს კოლმეურნეებმა, მუშებმა, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თერჯოლის ცენტრი საზეიმოდ იყო მორთული დროშებითა და ლოზუნგებით.

მიტინგს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი პ. სახეჩიძე.

სიტყვით გამოდის სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ნემსაძე.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე გ. კიკნაძე, კომკავშირის თერჯოლის რაიკომის მდივანი რ. აბულაძე, რაიონული გაზეთის „საკოლმეურნეო სოფლის“ რედაქტორი ვ. რობაქიძე და სხვ.

მიტინგის დამთავრების შემდეგ ხალხი დიდხანს არ დაშლილა. ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა თერჯოლელ კოლმეურნეთა, მუშათა და ინტელიგენციის ზეიმად გადაიქცა.

სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლი თერჯოლაში.

ფოტო ა. ამშიკაშვილისა.

მეჩაიეობის მოწინავე რგოლი

მახარაძე, 21 აგვისტო. (საკუთარი). სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეობის რგოლმა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ტ. ჩხაიძე ხელმძღვანელობს, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 24 ტონის ნაცვლად მოკრეფილი და ჩაბარებულია 24,4 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. თვითონ მერგოლურმა მიმაგრებულ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 4,2 ტონა—1,2 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ჩაის ფოთლის ჩაბარების წლიური გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ავრეთვე რგოლის წევრებმა — სოციალისტური შრომის გმირმა ნ. გოგოძემ და მოწინავე მეჩაიემ ლ. თამაზაშვილმა.

ეს წარმატება იმის შედეგია, რომ რგოლის წევრები მოხერხებულად იყენებენ ჩაის პლანტაციების მოვლის მოწინავე აგროტექნიკას.

ჩხაიძის რგოლის წევრებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 16 ტონა ჩაის ფოთოლი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი ფინეთში ჩავიდა

ჰელსინკი, 21 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის მოწვევით დღეს ჰელსინკში ვიზიტით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლებნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, ქალაქისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრი ფ. დ. ვარაქსინი.

სასაზღვრო სადგურ ვაინიკალაში კ. ე. ვოროშილოვს შეხვდნენ და ჰელსინკამდე მიაცილეს სსრ კავშირის ელჩმა ფინეთში ვ. ზ. ლებედევმა, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა რ. სეპალიამ, აგრეთვე გენერალ-ლეიტენანტმა ფ. ჰელმინენმა, პროფესორმა ე. ვეგელიუსმა და სხვ.

ქალაქ ჰელსინკის მთავარი ვაგზალი, რომელშიც კ. ე. ვოროშილოვს სპეციალური მატარებელი ჩამოვიდა, მორთულია ფინეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. აქ ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული.

საპატიო საბჭოთა სტუმრის შესახვედრად მოვიდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, სეიმის თავმჯდომარე ვ. ი. სუქსელაინენი, პრემიერ-მინისტრი კ. ა. ფაგერჰოლმი, საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ტერნგრენი და ფინეთის მთავრობის სხვა წევრები, უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტი ტ. ტარიანე, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტი უ. კასტრენი, იუსტიციის კანცლერი კ. მელერი, შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი კ. ჰეისკანენი, ნიულანდის გუბერნიის გუბერნატორი ვ. მელტი, ჰელსინკის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ლ. ახო და სხვა ოფიციალური პირები.

კ. ე. ვოროშილოვს შეხვდნენ ფინეთში საბჭოთა საელჩოსა და საავჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები, საბჭოთა კავშირის, ფინეთისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

17 საათზე ადგილობრივი დროით სპეციალური მატარებელი ვაგზლის ბაქანს მიადგა. კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ვაგონიდან გამოდიან. სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს. კ. ე. ვოროშილოვი გულთბილად მიესალმება ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს.

კ. ე. ვოროშილოვისადმი მიმართული მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ქალაქ ჰელსინკის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ლ. ახომ, რომელმაც თქვა:

ბ-ნო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარევ! ქალაქ ჰელსინკის სახელით პატივი მაქვს გულითადად მოგესალმოთ ფინეთის დედაქალაქში ჩამობრძანებისას. ჩვენ, ჰელსინკის მცხოვრებნი, გულწრფელად ვართ მოხარულნი, რომ ფინეთში თქვენი ჩამოსვლისას წილად გვხვდა პირველნი მოგესალმოთ, ბ-ნო პრეზიდენტო.

ისევე, როგორც მთელი ფინელი ხალხი, ფინეთის დედაქალაქის მცხოვრებნი გულწრფელად მოხარული არიან, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ეს ვიზიტი მით უფრო ისტორიული და შესანიშნავია, რომ იგი პირველად მოხდა. თქვენი ჩამობრძანება, ბ-ნო პრეზიდენტო, ჩვენ მიგვაჩნია იმ კარგი და კეთილსასურველი განვითარების ახალ და უფრო ძლიერ დადასტურებად, რომელიც ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეზობლურ ურთიერთობაში მოხდა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ჩამობრძანება კიდევ უფრო განამტკიცებს და ახლობელს გახდის ამ ურთიერთობას და გააძლიერებს, როგორც ჩვენს ხალხებს შორის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის მშვიდობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის წინამძღვრებს.

გულითადად მოგესალმებით, ბ-ნო პრეზიდენტო, ფინეთის დედაქალაქში ჩამობრძანებისას და ვბედავ იმედი ვიქონიო, რომ ამ დღეების განმავლობაში კარგად იგრძნობთ თავს ჩვენს ქვეყანაში, მის დედაქალაქში და ფინელ ხალხში, აგრეთვე რომ ფინეთის მოკლე ზაფხულისაგან სასიამოვნო მოგონება დაგრჩებათ.

მიკროფონთან მიდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი. იგი ამბობს:

დიდად პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბ-ნო ქალაქ ჰელსინკის მერო!

ქალაქ ჰელსინკის მოქალაქენო!

ჩამოვედი, რა მეგობარი ფინეთის დედაქალაქში, საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩემი სახელით ფინელ ხალხსა და თქვენ, ბ-ნო პრეზიდენტო, გადმოგცემთ უაღრესად გულითად სალამს.

მე და ჩემს თანამგზავრებს დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს, რომ შესაძლებლობა გვაქვს გავეცნოთ მშვიდობისმოყვარე და ნიჭიერი ფინელი ხალხის ცხოვრებას. მოხარული ვართ იმით, რომ ჩვენი ვიზიტი შესაძლებელს გახდის გაფართოვდეს და განმტკიცდეს კონტაქტები ფინეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებთან ჩვენი ქვეყნების, როგორც კეთილი მეზობლების კარგი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს და პატივს სცემს ნამდვილ კეთილმეზობლურ ურთიერთობას, რომელიც ესოდენ ნაყოფიერად ვითარდებოდა უკანასკნელ წლებში ჩვენი ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

მსურს გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის კვლავაც უნდა აყვავდეს და კიდევაც აყვავდება ნამდვილი მეგობრობისა და ურთიერთ ნდობის საფუძველზე.

ნება მიბოძეთ, ბ-ნო პრეზიდენტო, გულითადი მადლობა მოგახსენოთ თავაზიანი მოწვევის გამო — ჩამოვსულიყავი თქვენს ქვეყანაში.

სულითა და გულით გმადლობთ, ბ-ნო მერო, მისალმების იმ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებითაც თქვენ აქ ჩვენს დელეგაციას შეხვედით.

მხურვალედ ვუსურვებ კეთილდღეობასა და ბედნიერებას ფინეთის რესპუბლიკის ხალხს და აყვავებას მის დედაქალაქს — ჰელსინკს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა ჩამოუარეს საპატიო ყარაულის ფრონტს.

პრეზიდენტის წითელი ხალიჩით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გადიან ვაგზლის მოედანზე. აქ მათ ხვდება მისასალმებელი შეძახილებით ფინეთის დედაქალაქის მრავალი ათასი მცხოვრები. ბევრს ხელში უჭირავს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის პატარა ალმები, რომლებიც მისალმების ნიშნად აღუმართავთ. მთელ გზაში ვაგზლიდან პრეზიდენტის სასახლემდე ჰელსინკის მცხოვრებნი გულთბილად მიესალმებიან საბჭოთა სტუმრებს. სასახლეში მისვლისას კ. ე. ვოროშილოვი და უ. კ. კეკონენი აივანზე გადიან. შეკრებილნი მათ ოვაციას უმართავენ.

კ. ე. ვოროშილოვის ჰელსინკში ჩასვლის გამო

ჰელსინკი, 21 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). მალე პრეზიდენტის სასახლეში მისვლის შემდეგ, სადაც ვიზიტის დროს იქნება მაღალი საბჭოთა სტუმრის რეზიდენცია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა ვიზიტი გაუკეთა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს, ხოლო შემდეგ ფინეთის რესპუბლიკის ყოფილ პრეზიდენტს ი. კ. პაასიკივის, აგრეთვე პრემიერ-მინისტრს კ. ა. ფაგერჰოლმს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან კ. ე. ვოროშილოვთან საპასუხო ვიზიტით მივიდნენ ი. კ. პაასიკივი და კ. ა. ფაგერჰოლმი.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სადილი გამართა კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად

ჰელსინკი, 21 აგვისტო. (საკუთარი სპეც. კორ.). საღამოს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა თავის სასახლეში საზეიმო სადილი გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის პატივსაცემად.

სადილმა განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. სადღეგრძელო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ შედგა, მოისმინა და განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

— პარტიის XX ყრილობამ, — თქვა მომხსენებელმა, — დასახა კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის დაჩქარებული წინსვლის გაშლილი პროგრამა. ჩვენი სამშობლოს და მათ შორის საბჭოთა საქართველოს მშრომელები ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს უპასუხებენ ახალი შრომითი გამარჯვებებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სამრეწველო წარმოების ნახევარი წლის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 104 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშებულია 180 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. გაწეულია არც თუ ცოტა მუშაობა მეჩაიეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. მრავალი წლის მანძილზე პირველად გადაჭარბებით შესრულდა წვალადობის გეგმები. სასილოსე და მწვანე საკვებად სიმინდის ნათესები სამჯერ გადიდდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

მაგრამ წარმატებანი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მუშაობაში, კულტურის განვითარებაში შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს და, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები რომ არ ჰქონოდათ პარტიული, სამეურნეო და იდეოლოგიური ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობაში.

ცნობილია, რომ ხალხის დაუძინებელი მტრის, იმპერიალიზმის აგენტის ბერიას დანაშაულებრივმა ანტიპარტიულმა და ანტისახელმწიფოებრივმა მოქმედებამ ზიანი მიაყენა საბჭოთა ხალხს და, განსაკუთრებით, ქართველ ხალხს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ახორციელებდნენ რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ბერია და მისი დამქაშები ცდილობდნენ ჩაენერგათ ქართველი მოსახლეობისათვის ეროვნული განსაკუთრებულობის გრძნობა, ჩაეკეტათ იგი ვიწრო-ეროვნულ ჩარჩოებში, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ოჯახისათვის მოეწყვიტათ ქართველი ხალხი, მოეხდინათ მისი იზოლაცია. განზრახ ატარებდნენ რა აფხაზი, სომეხი და ოსი მოსახლეობის ეროვნული კულტურის ლიკვიდაციის ხაზს, ისინი ამით ხელოვნურად აღვივებდნენ შუღლს ქართველებსა და ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლე სხვა ეროვნებათა ადამიანებს შორის და ახორციელებდნენ მათს ძალდატანებითს ასიმილაციას. ყოველივე ეს ძირს უთხრიდა საქართველოში მოსახლე ხალხებს შორის საუკუნეობით ჩამოყალიბებულ მეგობრობას. ბერია ყოველნაირად უჭერდა მხარს, ფარავდა და ხელს უწყობდა რესპუბლიკაში ნაციონალისტური ელემენტების აქტივიზაციას.

ხალხის მტერი ბერია ახორციელებდა არსებითად ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკას, აქეზებდა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საზიანოდ. მისი მოქმედების შედეგად საქართველოს ზოგი რაიონი პრიორიტეტულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაშინ როცა სხვა, კერძოდ, მთიანი რაიონები აღმოჩდნენ ძალიან მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელიც დღემდე კიდევ არ არის დაძლეული. არასწორი იყო სტალინის ბევრი მითითება მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების მეტისმეტი გადიდების შესახებ, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარების საზიანოდ, რამაც აგრეთვე უარყოფითი გავლენა მოახდინა კოლმეურნეობათა ეკონომიკაზე. უდიდესი სახსრები უსარგებლოდ იხარჯებოდა არქიტექტურულ ზედმეტობებზე, ევკალიპტის მასობრივ რგვაზე, რამაც თავისი დანშნულება ვერ გაამართლა, და სხვ.

ბერია და მისი ხროვა ვერაგულად სპობდნენ რესპუბლიკის საუკეთესო პარტიულ და საბჭოთა კადრებს, ქართველი ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს.

ბერიასა და მისი თანამზრახველების მხილების შემდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებით, მიღებულ იქნა ღონისძიებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკის დაშებებულ დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მუშაობა ძალიან ნელა, მოდუნებულად ხორციელდება, კერძოდ, არაქართველი ეროვნების ადამიანთაგან მუშაკების გაზრდისა და ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების საქმეში.

საზიზღარი მტერი ბერია ყოველნაირად ცდილობდა ხელოვნური ბარიერი შეექმნა რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებსა და სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შორის. სარგებლობდნენ რა ბერიას მფარველობით, რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო აპარატის კადრები მრავალი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ კონტროლისა და ბოლშევიკური კრიტიკის გარეშე, არ იღებდნენ სწორ პარტიულ აღზრდას. ეს ხელს უწყობდა უცხო ანტიპარტიული ჩვეულების, მლიქვნელობის, მაამებლობის, კარიერიზმის, ერთმანეთისათვის ხელის დაფარების დანერგვას.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა საჭირო პოლიტიკური და პრაქტიკული დასკვნა არ გააკეთა ბერიას საქმიდან. რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ ვერ გაშალეს ფართო ახსნაგანმარტებითი მუშაობა და ბრძოლა ბერიევშჩინის შედეგების დაძლევისათვის, სოციალისტური კანონიერების დარღვევათა, შინაურულობის და ერთმანეთისათვის ხელის დაფარების ფაქტების წინააღმდეგ, ვერ გააჩაღეს, როგორც ამას სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოითხოვდა, მწვავე, პირდაპირი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ვერ შექმნეს მლიქვნელობის, მაამებლობის ფაქტებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ის გარემოება, რომ სტალინის პიროვნების კულტმა ღრმად გაიდგა ფესვი საქართველოს მოსახლეობის შეგნებაში და განსაკუთრებით გაზვიადებული მასშტაბი და ნაციონალისტური ელფერი მიიღო ჩვენში. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა წარმატებას, სამამული ომის ფრონტებზე მოპოვებულ გამარჯვებებს, მიღწევებს სოციალისტური წყობილების განვითარებაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამუშავებაში წარმოადგენდნენ როგორც სტალინის მოღვაწეობის შედეგს, ხოლო კომუნისტური პარტიის როლს, საბჭოთა ხალხის როლს, წინააღმდეგ ისტორიული ჭეშმარიტებისა, ივიწყებდნენ, არარად აქცევდნენ. ჩვენ სუსტად განვუმარტავთ ამას ხალხს. სტალინის პიროვნების კულტი აქტიურად იჩენდა თავს იდეოლოგიის ყველა სფეროში — ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში, მეცნიერულ შრომებში. რესპუბლიკის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მიუხედავად სკკპ XX ყრილობის მითითებისა, სუსტად განუმარტავდნენ მშრომელებს ხალხის მასების, კომუნისტური პარტიის როლს კომუნიზმის მშენებლობაში, პიროვნების კულტის ანტიმარქსისტულ არსს, იმ დიდ ზიანს, რაც სტალინის კულტმა მიაყენა ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ხალხს.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მხედველობიდან გაუშვა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის ბიურო, პროპაგანდისა და აგიტაციის, მეცნიერების, კულტურისა და სკოლების განყოფილებები ზერელედ, ფორმალურად წარმართავენ პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას. დღევანდელი დღის ამოცანებს ოდნავაც ვერ უპასუხებს პოლიტიკური მუშაობა ინტელიგენციაში.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით საქართველოში აღიზარდნენ ნიჭიერ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, მწერალთა, მსახიობთა, მხატვართა მრავალრიცხოვანი კადრები, ვისი შრომაც ამდიდრებს ჩვენი ხალხის ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას. ეს არის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ცუდად ვიყენებთ ამ დიდ ძალას. სუსტად ხორციელდება ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდა. მის წრეში არ ჩაღდება მწვავე, პრინციპული ამხანაგური კრიტიკა და თვითკრიტიკა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილში, მართალია, უმნიშვნელო ნაწილში, ადგილი აქვს ნაციონალიზმის გამოვლინებებს.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ცალკეულ მეცნიერულ შრომებში და მწერალთა ნაწარმოებებში აპარებდნენ ლენინიზმისათვის უცხო ნაციონალისტურ უბადრუკ იდეებს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებს სათანადო წინააღმდეგობა არ ეწეოდა. მაგალითად, ქართულ და რუსულ ენებზე მრავალგზის გამოიცა, ისეთი უაღრესად ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნი, როგორიც არის შ. დადიანის რომანი „იური ბოგოლიუბსკი“. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომებში გამოქვეყნდა მ. გურიელის „ზღაპარი“, რომელიც მიმართულია რუსი ხალხის წინააღმდეგ. უკანასკნელ დრომდე გასავალი ჰქონდა 1919 წელს გამოცემულ დ. ჭიაბროვის წიგნს „საქართველო და რუსეთი“, რომელიც თავისი შინაარსით კონტრრევოლუციურია.

ცალკეულ სამეცნიერო შრომებში და მხატვრულ ნაწარმოებებში საქართველოს ისტორიული წარსული ანტიმარქსისტული პოზიციებიდან შუქდება. ყოველნაირად გაიდეალებულია მეფეების, მთავრებისა და მხედართუფროსების მოღვაწეობა და მიჩქმალულია ხალხის მასების როლი ისტორიაში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კ. გამსახურდიას ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ სამი წიგნი და სხვები. ანტიმარქსისტული პოზიციებიდან არის გაშუქებული ისტორიის საკითხები ისეთ მეცნიერ ისტორიკოსთა ზოგიერთ შრომაში, როგორიც არიან ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, სურგულაძე, დონდუა, ცინცაძე. ამ შრომებში მიჩქმალულია რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა. ამასთან ერთად საქართველოს თანამედროვე ცხოვრება და მშრომელთა მიღწევები ვერ პოულობს ჯეროვან ასახვას ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში. ჟურნალ „მნათობის“ (რედაქტორი ამხ. ჩიქოვანი) და „ლიტერატურული გაზეთის“ (რედაქტორი ამხ. ნატროშვილი) ფურცლებზე არც თუ იშვიათად იბეჭდება უიდეო, თავისი შინაარსით დაცემულობის ხასიათის ლექსები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, არქიტექტორების კავშირთა გამგეობები, აგრეთვე მათი პარტიული ორგანიზაციები მეტად სუსტად ეწევიან აღმზრდელობითს მუშაობას შემოქმედებითს ინტელიგენციაში, შემარიგებლურად ეკიდებიან იდეოლოგიურ შეცდომებს კულტურის მთელ რიგ მოღვაწეთა მუშაობაში, სუსტად ეხმარებიან ჩვენს ინტელიგენციას განთავისუფლდეს სტალინის პიროვნების კულტის გავლენისაგან, რომელიც ბოჭავს შემოქმედებითს ინიციატივას.

ჩვენი მეცნიერების წინაშე გადაშლილია ასპარეზი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე ნაყოფიერი მუშაობისათვის. მაგრამ ბევრი სამეცნიერო დაწესებულება ჯეროვანი დაძაბულობით არ მუშაობს, ამუშავებს წვრილმან, არაექტუალურ თემებს, რომელსაც სერიოზული მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ. 75 დისერტაციიდან, რომლებიც დაცულ იქნა 1940-დან 1954 წლამდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, ერთიც არ ყოფილა საბჭოთა პერიოდის ისტორიიდან. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტს თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე არ მოუმზადებია არც ერთი სერიოზული გამოკვლევა მარქსისტული ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებზე.

საჭიროა გადაისინჯოს სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ დისციპლინებში, რათა ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების ძირითადი ძალები წარიმართოს სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების დამუშავებისაკენ. ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც უნდა დავაყენოთ ქართველი ისტორიკოსების წინაშე, — ეს არის უახლოეს დროში საქართველოს ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელოს მომზადება.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის დარგში. ამასთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურული ურთიერთობის ყოველი ღონისძიებით გაფართოებას მომმე რესპუბლიკებთან და, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციასთან, რომელთანაც ქართველი ხალხი მრავალსაუკუნოვანი ურღვევი მეგობრობით არის დაკავშირებული.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ ქართულ ენაზე მეტად მცირე რაოდენობით ითარგმნება მომმე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებები. მაგალითად, უკანასკნელ ათ წელიწადში გამოცემულია მომმე რესპუბლიკების მწერალთა სულ 99 წიგნი და ოქტომბრამდელი პერიოდის ნაწარმოებთა 74 წიგნი. საჭიროა სერიოზულად გავაუმჯობესოთ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების ხარისხი, ვინაიდან რუსული ენის ცუდად ცოდნა ხელს უშლის ჩვენს სტუდენტებსა და სპეციალისტებს გამოიყენონ ცოდნის ის უმდიდრესი საგანძური, როგორიც არის დიდი რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურა.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს რესპუბლიკის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აღმზრდელობითი მუშაობის თავმინებებულობაზე და აკრიტიკებს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახალხო განათლების ორგანოებს. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: თბილისის ორი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებმაც 1954-1955 სასწავლო წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა და ვერ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, არ ეწევა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას. შრომისადმი უპატივცემლობის სულისკვეთებით აღზრდილნი, ისინი არ მიდიან სამუშაოდ წარმოებაში. პარტიის საქალაქო კომიტეტები კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ სახალხო განათლების ორგანოებს მასწავლებელთა აღზრდის საქმეში.

უმაღლესი სასწავლებლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ნაკლოვანებები თავს იჩენს ისეთი ფაქტებით, როგორიც არის კურსდამთავრებულთა თავის არიდება განაწილების მიხედვით სამუშაოზე წასვლისათვის, ცალკეული სტუდენტების ამორალური ქცევა, სასწავლო დისციპლინის დაბალი დონე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების სუსტი მუშაობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად ახორციელებს კომკავშირისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას, რის გამო ახალგაზრდობის იდეური აღზრდა თვითდინებაზეა მიშვებული. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ფორმალურად ეკიდება ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას. კომკავშირულ ორგანიზაციებს მეტი დახმარება ესაჭიროებათ პარტიული ორგანიზაციებისაგან, უამისოდ მათ გაუძნელდებათ თავიანთი შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორება.

ამხ. მჟავანაძე ამბობს, რომ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ მოითხოვენ მთელი პროპაგანდისტული მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას. მაგრამ ჩვენს პროპაგანდაში ჯერ კიდევ მთლიანად როდია აღმოფხვრილი მედავითნეობა და დოგმატიზმი, წარსულით გატაცება, სკოლარობა. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა. ბევრი პარტიული ორგანიზაცია კამპანიურად უდგება ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, განმარტავს მათ სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლისაგან მოწყვეტით. დაივიწყარა პოლიტიკურ მუშაობაში უშუალო მონაწილეობის ლენინური ტრადიცია, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე გამოდის მასების წინაშე.

მთელ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში უნდა გავაუმჯობესოთ ისეთ საშუალებათა გამოყენება, როგორიც არის კინო, რადიო, პრესა, ზეპირი პროპაგანდა და აგიტაცია. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებებია კულტურის სამინისტროს მუშაობაში, რომელიც ცუდად აწყობს სამეცნიერო და სასოფლო-სამეურნეო ფილმების გაქირავებას. იმ რაიონებში, სადაც სომეხი ან აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს, იშვიათად აჩვენებენ კინოსურათებს მათს მშობლიურ ენაზე. კავშირგაბმულობის სამინისტრო შეუწყნარებლად ნელი ტემპით ახორციელებს რესპუბლიკის რადიოფიკაციას.

იდეოლოგიური მუშაობის, სამეურნეო მშენებლობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პრესას. რესპუბლიკური გაზეთების დიდი ნაკლია ის, რომ ისინი ბევრ საკითხს ზერელედ აშუქებენ. გაზეთები ჩამორჩებიან ცხოვრებას, ჯერ კიდევ ცუდად ეწევიან მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. მომხსენებელი პლენუმის მონაწილეთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ბევრი ორგანიზაცია და უწყება არ ეხმაურება პრესის კრიტიკულ სიგნალებს. მომხსენებელი ამისათვის აკრიტიკებს საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს ამხ. ზამბახიძეს, სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. ქერქაძეს და სხვებს. კრიტიკისადმი ასეთი დამოკიდებულება შეუწყნარებელია.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების საკითხებზე. მან აღნიშნა ის ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს ხალხის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. საჭიროა, ამბობს იგი, ბოლო მოეღოს სპეკულაციას. შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები მოვალენი არიან ძირეულად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი კერძო მეწარმეობის წინააღმდეგ, გააძლიერონ ბრძოლა სპეკულაციასთან, გაფლანგვა-დატაცებასთან. საჭიროა აგრეთვე გავაჩაღოთ სასტიკი ბრძოლა ხულიგნობასთან და ჯეროვნად მოვკიდოთ ხელი რესპუბლიკის ქალაქებში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

მომხსენებელი ლაპარაკობს იმაზე, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ყოველდღიურ მზრუნველობას უნდა იჩენდნენ კულტურული საბჭოთა ვაჭრობის მოწყობისათვის. საჭიროა ვიბრძოლოთ სავაჭრო ქსელში უპატრონო ადამიანების შეპარვის წინააღმდეგ, გადაჭრით ვამხილოთ ისინი, ვინც ცდილობს ხელი მოიბოლოს მშრომელთა მოტყუებით, ზომასა და წონაში ატყუებს მომხმარებლებს, არ აძლევს ხურდას. დროა ბოლო მოვუღოთ ასეთ სამარცხვინო მოვლენებს.

ამხ. მჟავანაძემ დიდი ყურადღება მიაქცია საწარმოებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხს. მან გააკრიტიკა ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ავტოქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის, ტყვარჩელქვანახშირის შახტებისა და სხვა საწარმოების ხელმძღვანელები მუშათა საჭიროებებზე ცუდად ზრუნვისათვის. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ახლა უნდა მუშობდნენ პარტიული ორგანიზაციები, არის სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევა ბინების, სკოლების, საავადმყოფოების და სხვა ისეთი კომუნალური ნაგებობების მშენებლობაში, რომლებიც აუცილებლად საჭიროა საბჭოთა ადამიანის ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ამხ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ სტალინის პიროვნების კულტის სერიოზული შედეგია ბევრ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკში დამკვიდრებული ჩვევა უცადონ ზემოდან მითითებებს და არ გამოიჩინონ საკუთარი ინიციატივა, დამოუკიდებლობა. საჭიროა თვითონ გამოვიჩინოთ ინიციატივა, განვავითაროთ მასების ინიციატივა და მხარი დავუჭიროთ მას. ჩვენ სრულად ვერ ვიყენებდით ჩვენს მრეწველობაში არსებულ უდიდეს რეზერვებს. საქართველოში, სადაც ბევრი ადგილობრივი საშენი მასალაა, მეტისმეტად მაღალია ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის თვითღირებულება. ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვიყენებთ სოფლის მეურნეობის რეზერვებს. სარწყავ მიწებზე გარანტირებული უნდა იყოს მარცვლეული კულტურების 25-30 ცენტნერი მოსავალი ჰექტარზე, ჩვენ კი უკეთეს შემთხვევაში 15-17 ცენტნერს ვიღებთ. გამოყენებული არ არის არსებული შესაძლებლობანი მეცხოველეობაში — პირველმა წარმატებებმა ზოგიერთებს თავბრუ დაახვია და აღარ ცდილობენ მიაღწიონ ახალ, უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ ჩვენს შესანიშნავ მიწებზე დაბალმოსავლიანი და მცირეშემოსავლიანი კულტურები ითესება. საჭიროა ამ მიწებზე მოგვყავდეს ყურძნის, ჩაის, ხილის უხვი მოსავალი, რათა ჩვენი ქვეყნის მუშათა ცენტრებს ვუგზავნიდეთ მილიონობით ფუთ ყურძენს, ჩაის, ხილს.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებანი რესპუბლიკის ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციისაგან მოითხოვენ მუშაობის სტილისა და მეთოდების ძირეულად შეცვლას. საქმე ეხება გადამწყვეტ მობრუნებას მთელი პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამეურნეო მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისაკენ. მთავარი ახლა ის არის, რომ სწრაფად და გადაჭრით, ბოლომდე გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები. უნდა შეექმნათ მაღალი დაძაბულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ვითარება პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

დასასრულ ამხ. მჟავანაძემ მოუწოდა პლენუმის მონაწილეებს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და შეცდომების გაშლილი კრიტიკისაკენ.

• • •

მოხსენების გამო გაჩაღდა კამათი. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გეგეშიძე ამბობს, რომ სტალინის პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. მხოლოდ სტალინის პიროვნების კულტის შედეგად და პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევის შედეგად, თვითნებობისა და უკანონობის შედეგად, რაც დაკავშირებული იყო ამ კულტთან, შეიძლებოდა გამძვრალიყვნენ ხელმძღვანელ პოსტებზე იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტი ბერია და მისი თანამზრახველები. მთელი რიგი წლების განმავლობაში ისინი რესპუბლიკაში დაუსჯელად აკეთებდნენ თავიანთ ბინძურ საქმეს. ამხ. გეგეშიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და თბილისის საქალაქო კომიტეტმა დაუშვეს იდეოლოგიური მუშაობის სერიოზული ჩავარდნა, განსაკუთრებით, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში. იდეოლოგიური საკითხების შესახებ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიურო ბევრ სწორ და კარგ გადაწყვეტილებას იღებდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილებები განმტკიცებული არ იყო ორგანიზატორული მუშაობით. ზოგიერთი პრინციპული საკითხის გადაწყვეტისას ცენტრალური კომიტეტის ბიურო იჩენდა ზედმეტ ლიბერალიზმს, რაც იწვევს უდისციპლინობას ხელმძღვანელ მუშაკებს შორის, შნიშვნელოვან დავალებათა შეუსრულებლობას. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მაგალითს ბაძავდნენ თბილისის საქალაქო კომიტეტი და რაიკომები. უნდა გავაძლიეროთ მომთხოვნელობა და ავამაღლოთ პასუხისმგებლობის გრძნობა ჩვენს კადრებში.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ო. გოცირიძე აღნიშნავს, რომ საქართველოში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სტალინის პიროვნების კულტის და მისი შედეგების მავნე გავლენის განმარტების საკითხებს. ღრმა და ყოველდღიური ახსნაგანმარტებითი მუშაობა შეცვლილი იყო ზერელე სტატიებითა და ლექციებით, რომლებთაც განოდიოდნენ მორიგხარისხოვანი მუშაკები. საჭიროა, რომ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები გამოვიდნენ და უამბონ მშრომელებს, თუ პიროვნების კულტის შედეგად როგორ მოიპოვა სტალინის განსაკუთრებული ნდობა პარტიისა და ხალხის პირწავარდნილმა მტერმა ბერიამ და როგორ ვერაგულად ანადგურებდა იგი საუკეთესო პარტიულ და საბჭოთა კადრებს, ქართველი ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებს, როგორ უხეშად მახინჯდებოდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპები. ულმობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ამ ყველაზე საშიში ბოროტების კონკრეტულ მატარებლებს. ამხ. გოცირიძე აკრიტიკებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს იმისათვის, რომ იგი ყურს არ უგდებდა სიგნალებს სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ იდეოლოგიური ფრონტის ცალკეულ უბნებზე, ღრმად არ სწვდება საქმის ვითარებას და არ იღებს ოპერატიულ ღონისძიებებს პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობის განმტკიცებისათვის. იგი აყენებს საკითხს, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ უფრო სწრაფად და საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნას ბერიევშჩინის ყველა შედეგი, გამოსწორებულ იქნას აფხაზი ხალხის მიმართ დაშვებული დამახინჯებანი ლენინური ეროვნული პოლიტიკისა. დღემდე ეს მუშაობა ნელა წარმოებს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ალ. გ. ჯიბლაძე ამბობს, რომ სტალინის პიროვნების კულტმა თავი იჩინა მოსწავლე ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებებით. ამხ. ჯიბლაძე დაწვრილებით ეხება სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების საკითხებს, ლაპარაკობს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებაზე სკოლა-ინტერნატებისადმი, რომლებიც ახლად იქმნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ქადაგიძეს. იგი ამბობს, რომ სტალინის პიროვნების კულტმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაცია შეიძლება ისე, რომ არ ვაწარმოოთ მასებში ღრმა ახსნაგანმარტებითი მუშაობა, რომელსაც დღემდე არ ვეწეოდით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“ მოცემულია პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაშლილი პროგრამა. მასში დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება ხელს შეგვიწყობს ავამაღლოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. ამხ. ქადაგიძე აღნიშნავს, რომ თუ ანალიზს გავუკეთებთ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა საქმიანობას, დავინახავთ, რომ მირითადად იგი მიძღვნილია პარტიის ისტორიის ოქტომბრამდელი პერიოდის ლენინური ეტაპის ადმი მრავალი ლექციისა და მოხსენების კითხვისადმი, რომლებიც ნაკლებ სარგებლობენ პრაქტიკას. ასეთ პროპაგანდა აქტიურ ზეგავლენას არ ახდენს ცხოვრებაზე. შემდეგ ამხ. ქადაგიძე ამბობს, რომ მარტო თბილისში მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას არ ეწევიან. იქნებ მათთვის სამუშაო არ არის? როგორ არ არის. მარტო მეექვსე ხუთწლედის წლებში ქალაქის საწარმოებში და მის მშენებლობებზე ჩვენ დაგვჭირდება 20 ათასი კაცი. თავისუფლად შეგვიძლია მივიღოთ ყველა, ვინც დღეს არ მუშაობს. მაგრამ იძულებული ვართ ადამიანს სამუშაოდ ვიწვევდეთ სხვა რაიონებიდან და რესპუბლიკის ფარგლებს გარედანაც კი. ამაში იჩენს თავს პარტიის თბილისის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისა და განსაკუთრებით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებები.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ტაკიძე ამბობს, რომ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაბალი დონე აიხსნება იმით, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ აგიტატორთა მომზადებას. ამის შედეგად მათი გამოსვლები მოწყვეტილია პრაქტიკას. საუბრებში პარტიის XX ყრილობის მასალებზე და განსაკუთრებით სტალინის პიროვნების კულტზე ისინი სჯერდებიან ზოგად ფრაზებს ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული მაგალითებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ზე და ნაკლებსასარგებლო ნაგებობებზე, ამავე დროს ყურადღება არ ექცეოდა მშრომელების ელემენტარულ კულტურულ და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებას. მართალია, უკანასკნელ წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. 1953-დან 1955 წლამდე საექსპლოატაციოდ გადაეცა 552 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. სკკპ XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია მეექვსე ხუთწლედში გროზნო-თბილისის გაზსადენის მშენებლობის სამუშაოთა დაწყება. ამით გადაწყდება ქალაქის გაზიფიკაციის საკითხი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ ვერ ვიყენებთ იმ დახმარებას, რომელსაც საკავშირო მთავრობა გვიწევს. მაგალითად, ქალაქ თბილისში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბინებისა და სასტუმროების მშენებლობის გეგმა შესრულებულია სულ 56 პროცენტით. არადამაკმაყოფილებლად ეწევიან საბინაო მშენებლობას საშენ მასალათა მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროები.

შემდეგ ამხ. ჯავახიშვილი ეხება სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან, გაფლანგვა-დატაცებასთან ბრძოლის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი მრეწველობის საერთო დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს უკან სერიოზული ნაკლოვანებანი იფარება. განვლილ ნახევარ წელიწადში ბევრმა საწარმომ გეგმა ვერ შეასრულა. ჯერ კიდევ დაძლეული არ არის მანკიერი პრაქტიკა, როცა საერთო პროდუქციის ხაზით გეგმის განხორციელებისას არ სრულდება დავალებანი ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დარგში. რესპუბლიკაში შესრულებული არ არის კაპიტალური მშენებლობის გეგმა. ამხ. ჯავახიშვილი ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო უნდა განთავისუფლდეს მეორეხარისხოვანი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტისაგან, რომლებსაც დამოუკიდებლად უნდა წყვეტდნენ სამინისტროები ან მინისტრთა საბჭო. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს კი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს დიდმნიშვნელოვან პრინციპულ საკითხებს.

კონკრეტული მაგალითები იმ მავნებლური ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკისა, რომელსაც სამხრეთ ოსეთში ეწეოდნენ ბერია და მისი დამქაშები, მოიყვანა თავის გამოსვლაში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა გ. სანაკოევმა. იგი აღნიშნავს, რომ ხალხის მტრის ბერიას მხილების შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ გამოესწორებინათ მავნებლური ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკა და ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებანი. მაგრამ შეიძლებოდა მეტი გაკეთებულიყო, ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს უკეთ რომ განეხორციელებინათ კონტროლი მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი. ბევრი საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ხუთ-ხუთჯერ იყო განხილული მინისტრთა საბჭოში, დღემდე არ არის გადაწყვეტილი. სოფლის მეურნეობის მინისტრს ქერქაძეს, სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრს კეცხოველს, საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს დავითაშვილს შეეძლოთ დაეჩქარებინათ ბევრი გადაწყვეტილების განხორციელება, მეტი მზრუნველობა რომ გამოეჩინათ ჩვენი კოლმეურნეების საჭიროებებისათვის. ამხ. სანაკოევი აკრიტიკებს აგრეთვე კომუნალური მეურნეობისა და კავშირგაბმულობის სამინისტროებს სამშენებლო სამუშაოთა გაჭიანურებისათვის.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ი. ჭუმბურიძე ამბობს, რომ საწარმოს კოლექტივი მხურვალედ იწონებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის განახორციელა, და სტალინის პიროვნების კულტის გაბედულად და გადაჭრით დაგმობას. ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ქარხნის კოლექტივმა 106,7 პროცენტით შეასრულა ნახევარი წლის პროგრამა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 1 ორთქლმავალი და 8 სამგზავრო ვაგონი. შეჯიბრებულთა პირველ რიგებში დგანან წარმოების ნოვატორები — მჭედელი ამხ. ილურიძე, ზეიხლები ამხ. ამირანაშვილი და ბერეკაშვილი, მექვაბეები ამხ. ბაბაევი, სოხაძე, მარგველაშვილი და სხვები, რომლებმაც უკვე შეასრულეს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა. ამხ. ჭუმბურიძე ამბობს, რომ მან 20 თვის გეგმა შეასრულა, და ქარხნის კოლექტივის სახელით პირობას აძლევს პლენუმს, რომ მეექვსე ხუთწლედის დავალებანი ვადამდე იქნება შესრულებული. — უკანასკნელ ხანს, ამბობს იგი, — ქარხანაში უფრო ხშირად კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა თემებზე. მაგრამ ქარხნის კოლექტივი სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს ლექტორებს. მეტი წილი ლექციები მოწყვეტილია ჩვენს სინამდვილეს, დაკავშირებული არ არის იმ ამოცანებთან, რომლებსაც საწარმო წყვეტს. ასეთი ლექციები ვერ გვაკმაყოფილებს. პარტიის რაიკომი მოვალეა გარდაქმნას ლექტორების მუშაობა. დაე სანამ ქარხნის კოლექტივის წინაშე გამოვიდოდნენ, ისინი წინასწარ გაეცნონ მის მუშაობას. ამხ. ჭუმბურიძე აკრიტიკებს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ციმაკურიძეს იმისათვის, რომ იგი ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენს საქარხნო სასადილოებისათვის.

— უნდა ვაღიაროთ, — ამბობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გიორგაძე, — რომ საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, ჯეროვნად რომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ სტალინის პიროვნების კულტმა ღრმად გაიდგა ფესვი საქართველოს მოსახლეობის შეგნებაში, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ჯეროვან ახსნაგანმარტებითს მუშაობას არ ეწევიან. არის ფაქტები, როცა პარტიულ ორგანიზაციებში შემწყნარებლურად ეკიდებიან ცალკეულ ანტიპარტიულ გამოვლინებებს და არ გმობენ იმათ, ვინც გამოდის სტალინის პიროვნების კულტის შესახებ იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებიც მოწონებულია ყრილობის და მთელი პარტიის მიერ. კომუნისტებს უფლება არა აქვთ დუმდნენ. ისინი მოვალენი არიან მტკიცე პასუხი გასცენ ასეთ გამოსვლებს. შემდეგ ამხ. გიორგაძე დაწვრილებით ეხება იმ შეცდომათა და დამახინჯებათა საკითხს, რომლებიც დაშვებული იყო რესპუბლიკის მთიანი რაიონების ეკონომიური განვითარების საქმეში. იგი აღნიშნავს, რომ მეცხოველეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. პარტიული და საბჭოთა ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის ნაკლოვანებანი იმით იჩენენ თავს, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა ჯერ კიდევ დაბალია, ხოლო სულადობა შემცირდა. მიმდინარე წლის პირველი ივლისისათვის რძის წველადობა გასულ წელთან შედარებით შეამცირეს მეცხოველეობის ისეთი რაიონების კოლმეურნეობებმა, როგორიც არიან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისის, წალენჯიხისა და მესტიის რაიონები. როგორ არ უნდა ვთქვათ, რომ ასეთი მდგომარეობა მოწმობს სერიოზულ ჩავარდნებს ამ რაიონების ხელმძღვანელ მუშაკთა მუშაობაში. ამხ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების აპარატის მუშაობაში არ არის ოპერატიულობა, სიმტკიცე და თანმიმდევრობა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. უკანასკნელ 7 თვეში მარნეულის რაიონში ყოველდღე იყო მივლინებაში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების 3-4 მუშაკი. რაიონული ორგანიზაციების მუშაობა კი მაინც სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

— აჭარის კომუნისტები და ყველა მშრომელნი, — ამბობს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. მამულაძე, — სრული მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“. ყველგან მოეწყო ამ ისტორიული დოკუმენტის ფართო განხილვა, რომელმაც ცხადყო მშრომელთა ერთიანობა და დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო. მაგრამ ვაწარმოებთ რა ბრძოლას სტალინის კულტის წინააღმდეგ, — აცხადებს იგი, — არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ცალკეული ნაციონალისტური ელემენტების ანტიპარტიულ გამოსვლებს, რომლებიც უცხო ბურჟუაზიულ შეხედულებათა გამოხატულებას წარმოადგენენ. საოლქო კომიტეტის ბიურომ პარტიიდან გარიცხა ჟღენტი და შენგელაია, რომლებიც პარტიის წინააღმდეგ ცილისწამების ანტიპარტიულ გზას დაადგნენ. უნდა გავაძლიეროთ ახსნაგანმარტებითი მუშაობა პიროვნების კულტის მავნეობის შესახებ.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა ნ. ოსინმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ინტერნაციონალური აღზრდის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის, საბჭოთა არმიის დემობილიზებულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა შრომითი მოწყობის საკითხებს და იმ ზიანს, რომელიც სტალინის პიროვნების კულტმა ჩვენს საბჭოთა სამხედრო მეცნიერებას მიაყენა. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ზოგიერთი წევრის გამოსვლებში მოცემული არ იყო იმ ნაკლოვანებათა და შეცდომათა ღრმა კრიტიკა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა, — აცხადებს იგი, — უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, ისინი მეტ პრინციპულობასა და სიმტკიცეს უნდა იჩენდნენ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრაში.

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ჩოფიკაშვილი აღიარებს, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში და კერძოდ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა შორის მუშაობა არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებანი თავს იჩენენ იმით, რომ ჩვენში დღემდე კიდევ არიან სტალინის პიროვნების კულტით დაბრმავებული ადამიანები. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ არ ვუამბობთ მშრომელებს იმ დიდი ზიანისა და იმ შედეგების შესახებ, რომლებიც სტალინის პიროვნების კულტმა მიაყენა საქართველოს. ამხ. ჩოფიკაშვილი აღნიშნავს, რომ დაბალ იდეურ დონეზე ჩატარდა საქალაქო პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხილვისადმი. ამჟამად პარტიის საქალაქო კომიტეტი იღებს ღონისძიებებს იდეოლოგიური მუშაობის აქტივიზაციისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე აღნიშნავს, რომ ზოგიერთ კომუნისტს სრულიად არასწორად, მცდარად ესმის პარტიის ბრძოლა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის აღდგენისათვის. სტალინის პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ისინი იქამდე მიდიან, რომ საერთოდ უარყოფენ ხელმძღვანელთა როლს და პრაქტიკაში უხეშად არღვევენ დისციპლინას. მაგალითისათვის ამხ. ჩუბინიძეს მოჰყავს თბილისის ერთ-ერთი მშენებლობის უფროსის დ. ნასიძის ქცევა. მას იბარებენ ცენტრალურ კომიტეტში და წინადადებას აძლევენ შეასრულოს პარტიული გადაწყვეტილება — იგი არ ასრულებს. მას იბარებენ თბილისის საქალაქო კომიტეტში და კვლავ ახსენებენ, თუ როგორ უნდა ეკიდებოდეს პარტიულ გადაწყვეტილებებს. ნასიძე შეუწყნარებელ უდისციპლინობას იჩენს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი სწორად მოიქცა, სამუშაოდან რომ მოხსნა იგი. კოლექტიური ხელმძღვანელობა კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, გულისხმობს ხელმძღვანელის პერსონალურ პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელთა როლის შეუფასებლობა გამოხატავს არა მარქსისტულ, არამედ წვრილბურჟუაზიულ ანარქისტულ შეხედულებებს, იწვევს თავაშვებულობას. ასეთ შეხედულებათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ამხ. ჩუბინიძე დაწვრილებით ეხება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებს კადრების შერჩევისა და განაწილების დარგში, აკრიტიკებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და შემოქმედების კავშირებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეციდივებისადმი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის.

სიტყვა ეძლევა პარტიის ქ. თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანს დ. ჩხიკვიშვილს. იგი ამბობს, რომ პიროვნების კულტმა დამღუპველი გავლენა იქონია მეცნიერული მუშაობის განვითარებაზე. სტალინის პიროვნების კულტის დაგმობა, ნაკლოვანებათა გაბედული კრიტიკა დაეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს კულტის მავნე შედეგების დაძლევაში. ახასიათებს რა სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებლების მუშაობის ნაკლოვანებებს, ორატორი ამბობს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი ლიბერალიზმს იჩენს მომზადებული კადრებით მათი განმტკიცების საკითხის გადაწყვეტისას. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კადრების ანალიზით. ამხ. ჩხიკვიშვილი ამბობს, რომ საჭიროა უფრო გაბედულად დავწინაუროთ ხელმძღვანელ სამეცნიერო და პედაგოგიურ სამუშაოზე ახალგაზრდა ნიჭიერი კადრები. იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა აღმზრდელობითს მუშაობას არ ეწევა სტუდენტობაში. იშვიათად თუ შეიკლის რომელიმე მათგანი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში. ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენენ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის.

თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. ქერქაძე ეხება იმ ნაკლოვანებებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, რომლებიც წარმოშობილი იყო სტალინის პიროვნების კულტით. შემდეგ იგი ლაპარაკობს სერიოზულ ნაკლოვანებებზე მიმდინარე წლის მოსავლის აღების ჩატარებაში. იგი აღნიშნავს, რომ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. მნიშვნელოვანი ჩამორჩენაა თამბაქოს აღებაში. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაც არადამაკმაყოფილებლად წარმოებს. ჩაის ფოთოლი მოკრეფილია მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები, ვიდრე შარშან. მოსავლის აღების სამუშაოთა ჩამორჩენა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების სუსტი ორგანიზატორული მუშაობის შედეგია. მაგრამ ამხ. ქერქაძეს არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, თუ რამდენად მიუძღვის ბრალი ამ ნაკლოვანებებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე მ. ლელაშვილი ამბობს, რომ რესპუბლიკის ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია განზე გაუდგა ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორიც არის სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების განმარტება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. პროფკავშირები საკმაო ბრძოლას არ ეწევიან შრომის დისციპლინის დამრღვევებთან. ორატორს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც მოწმობენ პროფკავშირთა აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეს. ამხ. ლელაშვილი აღნიშნავს, რომ მშენებლობის სერიოზული ჩამორჩენის შედეგად საქართველოს მშრომელებს მეხუთე ხუთწლედის წლებში დააკლდათ 262 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჩოგოვაძე, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობს, მოვალეა უზრუნველყოს ძირეული გარდატეხა ამ საქმეში. ორატორი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები სუსტად არიან დაკავშირებულნი მასებთან, იშვიათად გამოდიან მუშებისა და კოლმეურნეების წინაშე. 30 ივლისს პროფსაბჭოს პლენუმზე განსახილველად იდგა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულება. მოწვეული მინისტრები ამხ. ართმელაძე და ბარიგიანი, საქენერგოს მმართველი ამხ. ჩხეიძე და ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის მმართველი ამხ. გიორგაძე პროფსაბჭოს პლენუმზე არ მოვიდნენ და არ გვიპასუხეს, როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ ვალდებულებებს მუშათა კოლექტივების წინაშე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ვ. ესაიაშვილი ამბობს, რომ შრომებში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის შესახებ დამახინჯებულად შუქდებოდა ისტორიული მოვლენები. ვერაგმა მტერმა ბერიამ შეთითხნა ანტიმეცნიერული, სინაღდვილის საწინააღმდეგო წიგნაკი, რომელშიც რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში წარმოდგენილი იყო საერთო რუსეთის მუშათა მოძრაობისაგან მოწყვეტით, პარტიის, ბევრი ცნობილი რევოლუციონერის ბრძოლა გაშუქებული იყო როგორც ერთი კაცის — სტალინის მოქმედება. ამხ. ესაიაშვილმა ნოუთხრო პლენუმს, თუ როგორ ხორციელდება ამ შეცდომების დაძლევა, და იმ შრომებზე კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახებ, რომლებზეც ახლა მუშაობს ფილიალის კოლექტივი.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ლაბახუას გამოსვლა მიეძღვნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის იმ სერიოზულ დამახინჯებათა გამოსწორების საკითხებს, რომლებიც დაშვებული იყო აფხაზეთში. უკვე საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა. გაიხსნა სკოლები, რომლებშიც აფხაზი და სომეხი ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენაზე სწავლობენ. მუშაობენ აფხაზური და სომხური პედაგოგიური სასწავლებლები. სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა აფხაზური ენისა და ლიტერატურის სექტორი. უკვე გამოდის ყურნალი აფხაზურ ენაზე „ალაშარა“. ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე უფრო გაბედულად ხდება ეროვნული კადრების დაწინაურება. ამასთან ერთად, — აღნიშნავს ამხ. ლაბახუა, — საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა არ მიიღო საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ ფართოდ განმარტა მასებისათვის იმ უხეშ ნაციონალისტურ დამახინჯებათა მავნებლური არსი, რომლებიც დაშვებულ იქნა რესპუბლიკაში და რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა წყობილებისათვის ძირის გამოთხრისაკენ. ეს ხელს არ უწყობდა მშრომელების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით. მაგალითად, დღემდე არ ჩატარებულა განხილვა ისტორიკოს ინგოროყვას წიგნისა „გიორგი მერჩულე“, რომელიც, ჩვენი აზრით, მანკიერია. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებმა ჯეროვანი ასახვა ვერ ჰპოვა საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის მუშაობაშიც.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ჯანელიძე სწორად ცნობს იმ კრიტიკას, რაც პლენუმზე კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მისამართით გამოითქვა ახალგაზრდობაში არადამაკმაყოფილებელი აღზრდელობითი მუშაობისათვის. ახალგაზრდობის ნაწილის მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობის დაკარგვის მრავალი მაგალითი, შრომისადმი ბატონკაცური, აგდებული დამოკიდებულების ფაქტები, ცალკეული ამორალური მოვლენები დამაჯერებლად მოწმობენ კომკავშირული ორგანიზაციების ცუდ მუშაობას. უკანასკნელ თვეებში, — ამბობს ამხ. ჯანელიძე, — რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს ზოგიერთი ღონისძიებანი იდეოლოგიური მუშაობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამეა გაკეთებული.

გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ა. მიგრიაულმა ილაპარაკა იმაზე, რომ კოლმეურნეობის ეკონომიკა მტკიცდება. ამაში დიდი როლი შეასრულა გამოცდილების ურთიერთგაზიარებამ და მეგობრულმა შეჯიბრებამ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის არტელის კოლმეურნეებთან. 1953 წელს კოლმეურნეობამ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 1.592 კილოგრამი რძე, ხოლო 1955 წელს — 2.812 კილოგრამი. მოწინავე მწველავებმა ნ. ქაჯაიამ, მ. ალიფიროვამ, ს. მანუკიანმა და სხვებმა მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის უკვე მოწველეს სამ-სამი ათას კილოგრამზე მეტი რძე. ამხ. მიგრიაული აყენებს საკითხს ბოსტნეულის დამზადებაში შუამავალი ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ. იგი აკრიტიკებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმისათვის, რომ სუსტად აიარაღებს მტს-ებს ტექნიკით ისეთი დარგებისათვის, როგორიც არის მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკები იშვიათად მიდიან კოლმეურნეობებში და არ უწევენ მათ კონკრეტულ დახმარებას. — სრულებით არ იგრძნობა, — ამბობს ამხ. მიგრიაული, — მტს-ის ზონაში რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის მაორგანიზებელი როლი.

— ისტორიკოსების მიერ დაშვებულ ნაციონალისტურ შეცდომებზე პირველად როდია ლაპარაკი, — განაცხადა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ძოწენიძემ. — ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ ჩვენი ისტორიკოსების შრომებში სუსტად შუქდება საბჭოთა პერიოდი, ხალხთა მეგობრობის ისტორია და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სხვა აქტუალური პრობლემები. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ისტორიკოსებმა არ შეიცნეს ეს შეცდომები და არ იღებენ ღონისძიებებს მათი გამოსწორებისათვის. მაგალითად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერთა კოლექტივებმა მოამზადეს ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის. მასში უკვე ბევრი რამ გამოსწორებულია, თუმცა შეცდომები მაინც კიდევ არის. ამასთან მიზანშეუწონელია მივაწოდოთ სკოლას სქელტანიანი ორტომიანი სახელმძღვანელო.

— ის გარემოება, — ამბობს ამხ. ძოწენიძე, — რომ ფილოსოფიის ინსტიტუტმა 10 წლის განმავლობაში ვერ მოგვცა ვერც ერთი მონოგრაფია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებზე, აიხსნება სტალინის პიროვნების წინაშე ქედმოხრით. ეს ქედმოხრა იქამდე მიდიოდა, რომ ფილოსოფოსთა შორის მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა მარქსიზმის რაიმე დებულების გადმოცემა თავისი სიტყვებით, არა ისე, როგორც სტალინს ჰქონდა. დოგმატიზმი ბოჭავდა ჩვენი ფილოსოფოსების აქტივობას. ფილოსოფიის ინსტიტუტმა გადაჭრით უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა. ეკონომიკის ინსტიტუტში, — ამბობს შემდეგ ამხ. ძოწენიძე, — ძირითადი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდა ფეოდალური საქართველოს ეკონომიური ურთიერთობის ისტორიას. ჩვენს ტექნიკურ ინსტიტუტებში არ წარმოებს კვლევა ისეთ დიდმნიშვნელოვან თემებზე, როგორიც არის ფოლადის მეტალურგია, სამრეწველო საწარმოთა ავტომატიზაციის, ადგილობრივი საშენი მასალების დამუშავების ტექნოლოგიის საკითხები და სხვ. ამ ნაკლოვანებათა მნიშვნელოვანი ნაწილი აიხსნება მეცნიერთა წრეში კრიტიკისა და თვითკრიტიკის სუსტად გაშლით, ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების ცუდი მომზადებით.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გ. ფირცხალავა აღიარებს, რომ გაზეთი სუსტად იბრძვის იდეოლოგიურ მუშაობაში ნაკლოვანებათა და შეცდომათა აღმოფხვრისათვის. პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის განმარტების საქმეში რედაქცია დასჯერდა „პრავდიდან“ სტატიების გადმობეჭდვას. გაზეთის ფურცლებზე არ ყოფილა მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა ნაწარმოებებში არსებული იდეოლოგიური შეცდომების სერიოზული კრიტიკა. გაზეთი არადამაკმაყოფილებლად აშუქებს ინტელიგენციისა და ახალგაზრდობაში აღმზრდელობითს მუშაობას. ამასთან ერთად ამხ. ფირცხალავა აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილეები მეტად იშვიათად გამოდიან გაზეთში, ხოლო რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები არ გამოდიან რაიონულ გაზეთებში. ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და მინისტრთა საბჭოს სხდომებზე ერთხელაც არ განხილულა გაზეთების მიერ წამოყენებული საკითხები. ხოლო იყო საკითხები, რომლებიც უნდა განგვეხილა და ამით გვეჩვენებინა მაგალითი ჩვენი სხვა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, თუ როგორ უნდა ვეპყრობოდეთ კრიტიკას პრესაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. დ. მჭედლიშვილი ამბობს, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები სუსტად განუმარტავენ მშრომელებს ხალხის მასების, კომუნისტური პარტიის როლს კომუნიზმის მშენებლობაში, გვერდს უვლიან თავიანთ პროპაგანდისტულ მუშაობაში სტალინის პიროვნების კულტის საკითხს, ცუდად განმარტავენ მის ანტიმარქსისტულ არსს. საჭიროა გულმოდგინე, ყოველდღიური ღრმა იდეოლოგიური მუშაობა, რომ მთლიანად დავძლიოთ პიროვნების კულტის მავნე შედეგები. ამხ. მჭედლიშვილი სწორად ცნობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და პირადად მისი მისამართით გამოთქმულ კრიტიკას იდეოლოგიური მუშაობის თავმინებებულობისათვის. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს ჩატარდა ცენტრალური კომიტეტის ორი პლენუმი, რომლებიც მიძღვნილი იყო ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხებისადმი, როგორიც არის „იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“ და „მოსწავლეთა შორის პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“. პლენუმებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს უწყობენ იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას. მაგრამ უბედურება ის არის, რომ როგორც ცენტრალური კომიტეტის ბიურო, ისე ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და განათლების სამინისტრო, მეცნიერებათა აკადემია და შემოქმედებითი კავშირები, ჩვენ, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები ამპანიურად, ფორმალურად მოვეკიდეთ პლენუმებს. [illegible] ჯეროვანი ყურადღებით [illegible] ჯეროვანი [illegible] ეს [illegible] ეს [illegible] ეს

ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხზე

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მორიგი სხდომა კონფერენციისა სუეცის არხის საკითხზე გაიხსნა დღეს, როგორც ჩვეულებრივ, 15 საათზე ადგილობრივი დროით.

როგორც ცნობილია, გუშინდელ სხდომაზე კონფერენციის განსახილველად წარდგენილი იყო ორი დოკუმენტი — ინდოეთის დელეგაციის წინადადებანი, რომლებიც კ. მენონმა შეიტანა, და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებანი, რომლებიც ჯ. დალესმა წარადგინა. გუშინდელი სხდომა შეწყდა, რათა კონფერენციის მონაწილეებს მისცემოდათ დრო ორივე გეგმის შესასწავლად.

პირველმა სიტყვა აიღო პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩოუდჰურიმ. მან თავისი დელეგაციის, აგრეთვე ირანის, ეთიოპიისა და თურქეთის დელეგაციათა სახელით განაცხადა, რომ უერთდებიან ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებებს ზოგიერთი შესწორებით. ჩოუდჰურიმ გამოაქვეყნა ეს შესწორებანი, რომლებსაც წმინდა რედაქციული ხასიათი აქვთ და სულაც არ ცვლიან ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებათა არსს.

ჯ. დალესმა დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ ეთანხმება შეტანილ შესწორებებს.

შემდეგ წარდგენილ წინადადებათა პროექტებზე თავიანთი შეხედულებანი ჩამოაყალიბეს ინდონეზიის, შვეიცის, ავსტრალიის, ესპანეთის, იტალიის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, დანიის, საფრანგეთის, ცეილონის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იაპონიის, ჰოლანდიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა.

დამახასიათებელია, რომ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც კი, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს, ამასთანავე აკეთებდნენ ყოველგვარ შენიშვნას, ხაზს უსვამდნენ, რომ გასაკუთრებით საჭიროა სუეცის საკითხის გადაჭრას საფუძვლად დაედოს ეგვიპტის სუვერენულ უფლებათა დაცვა და ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას იმ სახელმწიფოთა ინტერესები, რომლებიც არხით სარგებლობენ.

დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური დ. ტ. შეპილოვი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის განცხადება სუეცის არხის საკითხზე

პრაღა, 21 აგვისტო. (საკდესი). დღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება სუეცის არხის საკითხზე. განცხადებაში ნათქვამია:

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მიაჩნია, რომ სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაცია განხორციელებაა ხალხთა თვითგამორკვევის და თავიანთი ეროვნული სიმდიდრის გამოყენების კანონიერი უფლებისა. ამის გამო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მხარს უჭერს ეგვიპტის მთავრობის ამ გადაწყვეტილებას. ეს სუვერენული აქტი უცხოეთის კაპიტალს უსპობს იმ მოგებათა და ტერიტორიულ პრივილეგიათა წყაროს, რომელთა გამართლებაც არაფრით აღარ შეიძლება. ამ აქტმა ხელი უნდა შეუწყოს ეგვიპტელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია მხარს უჭერს აგრეთვე ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს არხზე ნაოსნობის თავისუფლებას. ნაციონალიზაციის შემდეგ განვლილ პერიოდში ყველა ქვეყნის ხომალდებს შეეძლოთ ნორმალურად გამოეყენებინათ არხი. ეს მდგომარეობა შეიძლება განმტკიცდეს და განვითარდეს შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების საშუალებით, თუ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო სრულად უდისკრიმინაციოდ შეძლებს იმსჯელოს და დაამტკიცოს, რომ გულწრფელად სურს მიაღწიოს ასეთ შედეგს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ადასტურებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმ იმედს, რომ სუეცის არხის საკითხი გადაიჭრება ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მოლაპარაკების გზით ხალხთა უფლებების პატივისცემის სულისკვეთებითა და გაერთიანებული ერების წესდების შესაბამისად. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია გმობს ძალის გამოყენების მუქარას, რასაც მიმართავენ იმისათვის, რომ დაცვან ნათლად გამოხატული კოლონიური ხასიათის კერძო ინტერესები, მუქარას, რომელსაც შეუძლია სახელი გაუტეხოს მშვიდობასა და მეგობრობას ხალხთა შორის.

ამ უკანასკნელ დღეებში და განსაკუთრებით 16 აგვისტოს, არაბთა ყველა ქვეყნის მშრომელებმა, რომლებიც გაერთიანდნენ ამ ქვეყნებში უმაგალითო მასშტაბის მოქმედებისათვის, ცხადყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წინააღმდეგნენ ყოველ ჩარევას ეგვიპტელი ხალხის საქმეებში. მათ აქტიურად დაუჭირეს მხარი სხვადასხვა კონტინენტის, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის მშრომელებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ გამოთქვას თავისი ძმური სოლიდარობა ეგვიპტისა და არაბთა ქვეყნების მშრომელებისა და პროფკავშირებისადმი, რომელთა მოქმედება შეესაბამება იმ პრინციპებს, რომლებსაც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ყოველთვის იცავდა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას სურს, რომ გადაწყვეტილებანი, რომლებსაც ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს სახელით მიიღებენ, შეესაბამებოდეს ამ ქვეყნების მშრომელთა ნებას, შეესაბამებოდეს ეგვიპტელი ხალხის სუვერენულ უფლებებს და გაერთიანებული ერების წესდების სულისკვეთებას.

ჰარი პოლიტის წერილი იდენისადმი

ლონდონი, 20 აგვისტო. (საკდესი). ინგლისის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ჰარი პოლიტმა პრემიერ-მინისტრ იდენს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვს მას გაუკეთოს წარდგინება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის გამო.

ეხება რა კომპარტიის აკრძალვას, ჰარი პოლიტი წერს: „ეს აქტი სერიოზულ შეშფოთებას გამოიწვევს ინგლისში, რომლის ბევრ მოქალაქეს ახსოვს, რომ სწორედ ამგვარი მოქმედება დაიწყო ჰიტლერულმა რეჟიმმა თავისი არსებობის პირველ დღეებში, ხოლო უფრო გვიან, მას მოჰყვა მოქმედება, რომელიც მიმართული იყო ყოველგვარი დემოკრატიული აზრის წინააღმდეგ გერმანიაში.

ასეთ აქტს შეუძლია მხოლოდ ავნოს დემოკრატიის განვითარებას დასავლეთ გერმანიაში, ზარალი მიაყენოს გერმანიის გაერთიანების შესაძლებლობას და საყოველთაო მშვიდობას“.

საბჭოთა დახმარება ავღანეთისადმი

ქაბული, 22 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 16 აგვისტოს ავღანეთის სახალხო საბჭომ დამტკიცა შეთანხმება საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთისათვის 100 მილიონი დოლარის კრედიტის მიცემის შესახებ მისი ეკონომიკის განვითარების უზრუნველსაყოფად.

სახალხო-საბჭოს ცნობაში, რომელიც ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ ეს კრედიტი ავღანეთს მიეცა შეღავათიან პირობებში და არ ისახავს რაიმე პოლიტიკურ პირობასა და ვალდებულებას.

საბჭოთა კრედიტი გამოყენებული იქნება ავღანეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მშენებლობის განსახორციელებლად და დაეხმარება ავღანეთის მთავრობას შეასრულოს თავისი მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

საბჭოთა მთავრობამ, აღნიშნულია შემდეგ სახალხო საბჭოს ცნობაში, არა მარტო მისცა კრედიტი ავღანეთს, არამედ ტექნიკურ დახმარებასაც უწევს შეასრულოს დასახულ სამუშაოთა გეგმა ამ კრედიტის ანგარიშში. საბჭოთა ორგანიზაციებსა და ავღანეთის შესაბამის სამინისტროებს შორის ხელმოწერილია ათზე მეტი კონტრაქტი ისეთი ობიექტების მშენებლობის საძიებო, საკვლევ და საპროექტო სამუშაოთა განხორციელებაზე, როგორიც არის: ავღანეთში პირველი აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ელექტროსადგურები, ავტოსაჰაპანო გზა სალანგის უღელტეხილზე, ავტოსარემონტო სახელოსნოები, საირიგაციო ნაგებობათა მოწყობილობის ქარხანა და სხვები.

ეს, ხაზგასმულია ცნობაში, შეესაბამება ცნობილი ხუთი პრინციპის საფუძველზე მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს.

საბჭოთა დახმარების განმასხვავებელი თავისებურებაა, აღნიშნულია ცნობაში, სამუშაოთა მაღალი ხარისხი და მათი შესრულების სისწრაფე. მიმდინარე წლის ივნის-ივლისში ხელმოწერილ იქნა პირველი კონტრაქტები, მაგრამ საბჭოთა სპეციალისტებმა უკვე ახლა გააჩაღეს სამუშაოები. დასასრულს უახლოვდება საძიებო სამუშაოები ქაბულის აეროდრომის რეკონსტრუქციისა და ბაგრამის აეროდრომის მშენებლობისათვის, გაიშალა საძიებო მუშაობა აზოტოვანი სასუქების ქარხნის მშენებლობაზე, ჩამოვიდნენ საბჭოთა სპეციალისტები — გზის ოსტატები და სხვ.

საბჭოთა სპეციალისტები ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ არა მარტო დასახული ობიექტების მშენებლობაში, არამედ დაეხმარებიან ავღანეთის მთავრობას მოამზადოს სპეციალისტთა ეროვნული კადრები ამ საწარმოებისათვის.

ავღანეთის სამინისტროებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები დადებით შეფასებას აძლევენ საბჭოთა სპეციალისტების მუშაობას. საბჭოთა სპეციალისტების მუშაობა მოწონებას იწვევს ავღანეთის მოსახლეობის ყველა ფენაში.

გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა განგაშის სიგნალია მთელი გერმანიის მშრომელებისათვის

ბერლინი, 21 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა, აგრეთვე დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის მთელი რიგი გაზეთები კვლავ აქვეყნებენ მასალებს დასავლეთ გერმანიის სასამართლოს მიერ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვასთან დაკავშირებით და ცნობებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა პროტესტების შესახებ.

დასავლეთ ბერლინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბევრი გაზეთის მიერ გამოთქმული აზრები იმას მოწმობს, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის მიმართ გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილოა ადენაუერის მთავრობის ზოგიერთი მომხრეც კი დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინში.

„ჩვენში მაკარტის გადაჭარბეს“, — აცხადებს მიუნხენის გაზეთი „ზიუდდოიჩე ცაიტუნგი“, და ამით საუკეთესოდ ამხილებს დასავლეთ გერმანიის იუსტიციის ორგანოების ანტიხალხურ არსს.

დასავლეთ გერმანიის მეორე გაზეთი „ჰაილბრონერ შტიმე“ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვას და ანტიკომუნისტურ ისტერიას, რომელიც დასავლეთ გერმანიის რეაქციულმა წრეებმა ატეხეს, ახასიათებს როგორც პოლიტიკურად უგუნურ ნაბიჯს.

გლეხთა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა გ. ჰოფმანმა განაცხადა: ისტორია გვასწავლის, რომ გლეხთა ბედი განუყოფელად დაკავშირებულია მუშათა კლასის ბედთან. ამიტომ გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა დასავლეთ გერმანიაში უნდა გაისმას როგორც განგაშის სიგნალი ყველა გლეხისათვის აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ გ. მაიერმა, რომელიც დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოვიდა, განაცხადა: საშუალო წოდების წარმომადგენლებს ესმით, რომ ტერორი გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში მათაც ეხება. მათ ძალიან კარგად ახსოვთ 1933 წელი და ის, რაც ამას მოჰყვა. ისინი იმის მოწმე იყვნენ, თუ როგორ გამოიწვია ომი და მოსპობა პოლიტიკამ, რომელიც გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვით დაიწყო. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნა გ. მაიერმა, საშუალო წოდების წარმომადგენელთა მოვალეობა დასავლეთ გერმანიაში ის არის, რომ მთელ სხვა დემოკრატიულ ძალებთან ერთად და, განსაკუთრებით, მუშათა კლასთან ერთად იბრძოლონ მთელი ხალხის უფლებებისათვის, აგრეთვე საკუთარ უფლებათა დაცვისათვის.

ფინეთის მოსახლეობის რაოდენობა

ჰელსინკი, 21 აგვისტო. (საკდესი). მთავარი სტატისტიკური ბიუროს ცნობებით, ფინეთის მოსახლეობის რაოდენობა, მიმდინარე წლის დამდეგს მომხდარი აღწერის თანახმად, შეადგენს 4.288.521 კაცს. აქედან ქალაქებსა და დაბებში ცხოვრობს 1.504.100 კაცი, ანუ ფინეთის მთელი მოსახლეობის მესამედზე მეტი.

შარშანდელთან შედარებით ფინეთის მოსახლეობა გადიდდა თითქმის 40 ათასით, ანუ დაახლოებით 1 პროცენტით. 1 ათას მამაკაცზე საშუალოდ მოდიოდა 1.081 ქალი.

ქალაქ ქუთაისში



ყოველწლიურად ლამაზდება და იზრდება ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქალაქი ქუთაისი. უკანასკნელ ხანს აქ აშენდა მუშა-მოსამსახურეთა კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაკეთებულია ახალი ქუჩები, გაშენდა კვარტალები, მოეწყო გაზონები და სკვერები, დაირგო მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარეები.

ამას წინათ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მეოთხე საერთო სამშენებლო ტრესტის პირველმა სამშენებლო სამმართველომ ავტოქარხნის ქუჩაზე დაამთავრა და ავტომობილმშენებლებს გადასცა ახალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი. მშენებლობის პროცესშია ოთხი ასეთი სახლი.

ამ დღეებში ხაექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.



მუშა-მოსამსახურეთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

სურათზე: ფალიაშვილის ქუჩის ერთ-ერთი კუთხე; წინაპლანზე საჯარო ბიბლიოთეკის შენობა.

ფოტო ლ. კაკიტელაშვილისა.

ჰადრაკი

ქალთა მსოფლიო პირველობა

21 აგვისტოს მოსკოვში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩ-ტურნირი. ტურნირში მონაწილეობს სამი უძლიერესი მოჭადრაკე — საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლიუდმილა რუდენკო, მსოფლიოს ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა და პრეტენდენტთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ოლგა რუბცოვა.

მატჩ-ტურნირის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გახსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ. გ. პოსტნიკოვმა.

შემდეგ გამოვიდა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ფ. როგარდი (შვეიცია).

მატჩ-ტურნირის მონაწილეთა მიესალმნენ აგრეთვე ვერა ჩუდოვა და მატჩ-ტურნირის არბიტრი ფ. ანდერსენი (შვეიცია).

მატჩ-ტურნირი ეწყობა შემდეგი წესით: გაიმართება 24 ტური. თვითეული მონაწილე 22 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე ითამაშებს 16 პარტიას. (საკდესი).

კომპოზიციის მოყვარულთათვის

საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის შემდგომი განვითარების მიზნით სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ გამოაცხადა საჭადრაკო ამოცანების შედგენის რესპუბლიკური კონკურსი.

კონკურსში დაწესებულია სამ-სამი ჯილდო, სამ-სამი საპატიო და სქემები შეფასებანი ცალცალკე ორ, სამ და მრავალსვლიანი ამოცანებისათვის. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. საკონკურსოდ ამოცანები, ორ ცალად დიაგრამაზე დახატული, უნდა გამოგზავნოს 1956 წლის 20 ოქტომბრამდე შემდეგი მისამართით: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 19. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკი“ — წარწერით „საჭადრაკო კონკურსზე“.

საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში

მოსკოვი, 21 აგვისტო. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა და ავსტრიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „აუსტრიის“ ფეხბურთელები. ანგარიშით 5:0 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

მოტოგადარბენა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის აღსანიშნავად

ბათუმი, 22 აგვისტო. (საკდესი). 21 აგვისტოს აქ ლენინის მოედანზე გაიმართა იმ შორეული მოტოგადარბენის მონაწილეთა შეხვედრა, რომელიც გროზნოს ავტომოტოკლუბმა მოაწყო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დამთავრების აღსანიშნავად. გადარბენის 18 მონაწილემ, რომელთა შორის ერთი მძღოლი ქალია, სტარტი დაიწყო ქალაქ გროზნოში 15 აგვისტოს საღამოს და გაიარა მარშრუტი: მახაჩკალა — ბაქო—კიროვაბადი—თბილისი—ქუთაისი —, ბათუმი.

ბათუმში, წყალჯომარდობის სადგურში, გაიმართა გადარბენის მონაწილეთა შეხვედრა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ბათუმის საზღვაო კლუბის აქტივისტებთან. გადარბენის მონაწილეებმა უამბეს მათ, თუ რა სიძნელეები გადალახეს გზაში.

აჭარის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტმა გადარბენის მონაწილენი დაჯილდოვა სახელობითი სიგელებით.

22 აგვისტოს დილით მოტოციკლისტები ბათუმიდან წავიდნენ ფოთში, ხოლო შემდეგ განგრძობენ გზას მარშრუტით: სოხუმი — ტყვარჩელი — ნოვოროსიისკი — კრასნოდარი — არმავირი — პიატიგორსკი — ნალჩიკი — ორჯონიკიძე — გროზნო.

გადარბენის მონაწილენი სულ გაივლიან 3.600 კილომეტრს.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

რუმინელი ხალხი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე

დღეს რუმინელი ხალხი აღნიშნავს ეროვნულ დღესასწაულს — ფაშისტური უღლისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლების მე-12 წლისთავს.

1944 წლის 23 აგვისტოს რუმინეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც გამოიყვანა ხელისაყრელი მდგომარეობა, რაც შეიქმნა საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევით ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ და რუმინეთის ტერიტორიაზე მისი შესვლით, დარაზმა ხალხი შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამ აჯანყებამ დაამხო ფაშისტური დიქტატურა და დასაბამი მისცა სახალხო რევოლუციას რუმინეთში.

23 აგვისტომ რუმინელ ხალხს ნათელი მომავლის პერსპექტივები დაუსახა, საშუალება მისცა საკუთარ ხელში აეღო სამშობლოს ბედი. რუმინეთის მშრომელები, მიუხედავად შინაგანი და უცხოეთის რეაქციის არაერთი ცდისა აღედგინათ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის რეჟიმი, დაადგნენ ახალ გზას, რომელზეც კომუნისტური პარტია მიუთითებდა, — სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზას.

რუმინეთში თანდათანობით განხორციელდა დემოკრატიული რეფორმები, ლიკვიდირებულ იქნა მონარქია, გატარდა მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების ნაციონალიზაცია, მოხდა სხვა რევოლუციური გარდაქმნებიც. რუმინელი ხალხი მტკიცედ დაადგა სოციალიზმის მშენებლობის ნათელ და ფართო გზას.

ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებულმა მუშათა კლასმა თავისი პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელ გლეხობასთან მტკიცე კავშირში უდიდესი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების წლებში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგად აგრარულიდან გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

რუმინეთის მუშათა პარტია, რესპუბლიკის მთავრობა და რუმინელი ხალხი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ მრეწველობის ყველა დარგის, კერძოდ, მძიმე მრეწველობის განვითარებისათვის, რომელიც წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის აღმავლობის საფუძველს, მშრომელი ხალხის ცხოვრების დონის განუხრელად ამაღლების საფუძველს. საკმარისია ითქვას, რომ 1955 წელს 1938 წელთან შედარებით მანქანების გამოშვება გაიზარდა 8,3-ჯერ.

წარმატებით შესრულდა რუმინეთის პირველი ხუთწლიანი გეგმა (1951-1955). ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარებით დიდი ნაბიჯი გადადგა ინდუსტრიული განვითარების გზაზე. 1955 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ 2,9-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს. აშენდა და რეკონსტრუირებულ იქნა ასობით ფაბრიკა-ქარხანა, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, საგრძნობლად გაფართოდა ენერგეტიკული ბაზა. ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე გაორკეცდა. რუმინელმა ხალხმა შექმნა მძლავრი ინდუსტრიული ბაზა სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია ნავთობის მრეწველობა. ამჟამად ნავთობის მოპოვება 1,6-ჯერ მეტია, ვიდრე ომამდელ 1938 წელს. 1938 წელთან შედარებით ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა ერთიორად და უფრო მეტად, თუჯის გამოდნობა 3-ჯერ, ფოლადისა — 2,6-ჯერ. მთლიანად რუმინეთის მრეწველობამ გამოშვებული პროდუქციის მოცულობით 1938 წლის დონეს უკვე გადააჭარბა თითქმის სამჯერ.

ახალი დიდი ამოცანები დგას რუმინეთის მრეწველობის წინაშე სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით (1956-1960). მეორე ხუთწლედში რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდება 60-65 პროცენტით.



სურათზე: ნ. ბელინსკუს სახელობის მოედანი და კ. ი. პარხონის სახელობის უნივერსიტეტი ბუქარესტში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

წინათ ჩამორჩენილმა სოფლის მეურნეობამ სახალხო ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. გადაჭარბებით შესრულდა პირველი ხუთწლიანი გეგმის დავალებანი მარცვლეულის წარმოების დარგში. სოფლის მეურნეობის პროდუქციამ მთლიანად გადააჭარბა 1938 წლის დონეს. ეს წელი ბუერეფუაზიულ-მემამულურ რუმინეთში უმაღლესი პროდუქციის წლად ითვლებოდა.

რუმინეთის სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას. 1956 წლის ივნისის ბოლოს რესპუბლიკაში იყო 9.436 კოლექტიური მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა.

რესპუბლიკაში ძირითადი სათესი კულტურებია ხორბალი და სიმინდი. ფართოდ არის განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობის განვითარებაში. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1938 წელთან შედარებით გაიზარდა 30 პროცენტით, ღორისა — 125 პროცენტით.

განმტკიცდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ახლა რესპუბლიკაში 222 მტს-ია, რომლებშიც 30 ათასზე მეტი ტრაქტორი, 1.500-მდე კომბაინი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანაა.

სახალხო მეურნეობის განუხრელი განვითარების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ნაციონალური შემოსავალი, ამაღლდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონე. მუშათა რეალური ხელფასი 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 28 პროცენტით.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნამდვილად კულტურული რევოლუცია მოხდა. ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა. ამჟამად რუმინეთში 42 უმაღლესი სასწავლებელია. 1960-1961 სასწავლო წელს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლის 2.700.000-ზე მეტი მოსწავლე და სტუდენტი, ე. ი. თითქმის 600.000 კაცით მეტი, ვიდრე 1955-1956 სასწავლო წელს.

სახალხო ხელისუფლება უდიდეს მზრუნველობას იჩენს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. მიმდინარე წელს მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობისათვის გამოყოფილი თანხები 1949 წელს გამოყოფილ თანხებს 9-ჯერ და უფრო მეტად აღემატება. დღითიდღე ფართოვდება საბავშვო ბაღებისა და ბაგების რიცხვი, შექმნილია სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ფართო ქსელი.

მეორე მსოფლიო ომამდე ჩამორჩენილ ბურჟუაზიულ-მემამულურ რუმინეთის მეტად შეზღუდული შესაძლებლობანი ჰქონდა საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის.

სახალხო ხელისუფლების წლებში მოპოვებულ წარმატებათა შედეგად რუმინეთმა მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი საგარეო-სავაჭრო ბრუნვა. ახლა რუმინეთს გააქვს თბოელექტროსადგურებისა და ცემენტის ქარხნების კომპლექტური მოწყობილობა, ნავთობისა და სამთო მოწყობილობა, ტრაქტორები, ქიმიური საქონელი, საშენი მასალები და სხვ. 1955 წელს 1951 წელთან შედარებით სამრეწველო ნაწარმის ექსპორტი 61 პროცენტით გაიზარდა.

ძირეულად შეიცვალა რუმინეთის საერთაშორისო მდგომარეობა. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა ნამდვილად დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მტკიცედ იცავს მშვიდობას.

გაიზარდა რუმინეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. გასული წლის დეკემბერში იგი მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ძმური, ურღვევი მეგობრობა აქვს რუმინელ ხალხს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების ხალხებთან. ყველა სოციალისტურ სახელმწიფოსთან ერთად რუმინეთს თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის დაცვისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში.

რუმინელი ხალხი რუმინეთის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვ. ლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებული მიდის წინ, პროგრესისა და აყვავების გზით, წარმატებით აშენებს სოციალიზმის საფუძვლებს თავის ქვეყანაში.

გ. ტატიშვილი.

ღღეს

თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **კიროვის სახელობის პარკი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ქუჩის სეირნობა, ამირანი** (საზაფხულო), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი — არის ასეთი ჭაუკა, კომუნარების ბაღი — ეულეიტა, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო). **დიდუბე** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, მილიციის სამმართველოს ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი — საბჭოების ხელისუფლებისათვის, კომკავშვილი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — შეუპოვარი გოგონა. თბილისი — გაცურუებული ოცნებები, კოლხიდა** (საზაფხულო) — **აჩრდილები სტოვებენ მშვიდვალებს. ისანი** (საზაფხულო) — **გადარეული დღე, დიდუბე** (საზაფხულო) — **რისხვის ალი, კოლმეურნე — მდევარი.**

მეუღლე ირაკლი, შვილი ვლადიმერ, რძალი თეკლე; ნუნუ, გიორგი, ნოდარ ჩიკაშუები ოჯახებით იუწყებიან

ესმა სამუელის ასულ ჩიკაშუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-VIII ს. მამათში (ლანჩხუთის რ.).

დედა ეფროსინე, შვილები თალიკო, ბუბუსი, დები ნადია, დაფინე, ქეთო, სიძე ბ. ლაშხი ოჯახებით იუწყებიან

ქსენია ივანეს ასულ ჩხეიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 5 ს. ბაქოს ქ. № 12.

მეუღლე რახიელ რძლებით და შვილიშვილებით, სიძე ო. მაისურაძე ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან

ზაქარია ივანეს-ძე ბენდიანიშვილის

გარდაცვალებას პანაშვიდი 23, 24-VIII, 8 ს. გამოსვენება 25-VIII, 5 ს. კიროვის ქ. № 14.

შვილები ჯანსუღ, კონსტანტინე, ბაბუალა, სალომე, და ნინო, რძალი ნუცა, სიძე დ. ჭავჭავიანი ოჯახებით იუწყებიან

ნადია ნესტორის ასულ გამყრელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25-VIII, 8 ს. გამოსვენება 26-VIII, 4 ს. პლეხანოვის პროსპ. № 108.

მეუღლე მარგალიტა, შვილები ნიკოლოზ, პავლე, ოთარ, დიმიტრი, რძლები რუზანა, ეუფემია შვილებით იუწყებიან

კონსტანტინე თარხანის-ძე გამცემლიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-VIII სოფელ მაქათუბანში (ორჯონიკიძის რ.).

შოთა და მარიკო ეგნატაშვილები ოჯახებით იუწყებიან მამის

ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილის

გ